

სამშობლო

წ. 1

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 მ.
ცალკე ნუმერები 2 მ. 50 კაპ., უკან 15 კაპ., უკან 15 კაპ., უკან 15 კაპ.
წლიური ხელის მომწოდებელს გაზეთის ფასი უკან 15 კაპ., უკან 15 კაპ., უკან 15 კაპ.
წლიური ხელის მომწოდებელს გაზეთის ფასი უკან 15 კაპ., უკან 15 კაპ., უკან 15 კაპ.
წლიური ხელის მომწოდებელს გაზეთის ფასი უკან 15 კაპ., უკან 15 კაპ., უკან 15 კაპ.

ტელეფონი № 76.

№ 116 ყოველდღიური საკომუნიკაციო და სალიტერატურო გაზეთი № 116

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძეგლი, არ გაიცვლება სხვაზედა, ორივე ტკბილია ძმობილა, მიჩვენის ორსავე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

მწუხარებით აღვსილი მშობლები: მღვდელი ისააკ, მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული, შვილები: ვალერიანე, თამარა, ელენე და ნადეჟდა ახლელიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველს უძვირფასესი შვილისა და მეორენი საყვარელი ძმისა— მოსკოვის პეტროვსკო-რაზუმიოვის აკადემიის სტუდენტის **გასილი (გასიკო) ანგლედიანისას.**
დაკრძალვა დანიშნულია ს. ეწერში კვირას, 28 ივნისს, ნაშუადღევს სამ საათზე. პანაშვიდი ყოფელ დღე წმინდა გიორგის ეკლესიაში. 2—2—498

ხუთშაბათს, 2 ივლისს, საფინხის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულნი
თ-დ ვარლამ მინცილის ძის ერისთვის
სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ კვირიკე კენია ცინო ნიკოლოზის ასული ერისთვისა და შვილები: კენია ოლია ვარლამ ერისთვის ასული და მიხეილ ვარლამის ძე ერისთავი.
წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვილის— 12 საათზე. 2—1—498

ოცდა ცხრა რიცხვს ამა ივნისის თვისა, ორშაბათს, საფინხის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ჩემი დაუფრწყარი მეუღლის
კეკელიას
უმანკო სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაზარალებული მეუღლე მისი **ანტონ პ. ძე მჭედიაძე.** ქ. ქუთაისი. 2—2—491.

დღეა ევროსინე, შვილები გიორგი, დავით, ნიკოლოზ, მარიამ, თამარ რაჟდენის ძენი და ასულნი გვარამაძენი, ნინო რაჟდენის ასული ნუცუბაძისა, ცოლის ძმა კაპიტანი თევდორე ავსესძე ბაბუნაშვილი, სიძე მასწავლებელი ნიკოლოზ დამიტრის ძე ნუცუბაძე დები ფოტანე ჩხეიძისა და პელაგია ლეჟავასი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 ივნისს გარდაიცვალა სულით ავღმყოფთა სამკურნალოს ზედამხედველი **რაჟდენ ივანეს ძე გვარამაძე.**
პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე, სულით ავღმყოფთა სამკურნალო, 2-ე აღმქანდროვის ქუჩა. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 30 ივნისს საფინხის სასაფლაოზე. 3—1—497

გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის
ელმპროფისა და სინათლის კანონები. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავთომყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საგმთარია ხანდა. თ.

ექიმი რაიზიგონი დაბრუნდა და განაახლა ავთომყოფების (ქირურგიული და ქოლურ ავთომყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავთომყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდე. თ.

კვილის მკურნალი
მინაღარიპვილი და ტრუფანოვა ბათობიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბანტაძისა, ფირალოვის თეთუნის ფაბრიკის გვერდში. ავთომყოფების მიღება დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავთომყოფების კბილებსა და ღრძილებსა. ავთომგენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავთომყოფობას არჩენენ რამდენიმე სუანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი ი. ჩაბაძე ქალაქ. საავთომყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავთომყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბერგოვის სახლი. (თ.)

ექიმი მიხეილ კახიანი
კურნავს ეოგელეკარ თვალის ტკაულის ავთომყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა, პეტრე-პავლეს ქვ., სახლი დავ. კასიასი. თ.

ელექტრო „რადიოში“ თეატრი საჯანსულო ფანოზი.
ორშაბათიდან, 29 ივნისიდან, ნაჩვენებია იქნება სენსაციური სურათი **თავადაზნაურთა კერა.**
ორ სერიით და 8 ნაწ. ეპილოგიით ი. ს. ტურგენევის ცნობილი რამანდანი. ორშაბათიდან პირველი სერია ოთხ ნაწილით. მონაწილეობენ: ო. შრეობრაჟენსკაია, მ. ტამაროვი, ვ. შატერნიკოვი, ბ. ოლდოვი, ე. უვაროვი, ა. სიჩევა და ო. ბანუსი. დადგმულია ვარდინისკან. ნაჩვენებია იქნება სხვა სურათებზე.

ანონსი: ხუთშაბათიდან ნაჩვენებია იქნება „თავადაზნაურთა კერის“ მეორე სერია ოთხ ნაწილით ეპილოგიით.

იყიდავა ვაგული
ზომით 1020 ოთხკუთხი სიქენი, 1 მინა და 2 ხის სახლით, ინტერის ქუჩაზე, უფასო სასწავლებლის ახლოს. პირობების გაგება იქვე შეიძლება. 5—4—493

ომის დღიური.
კიკასიის ასპარეზით ოსმალთა ენერგიული შეტევა გრძელდება. ოლთისის გეზით, ნარშხის რაიონში, რუსებმა ოსმალთა უკუაქცევს. ოსმალთა შემოტევა შეაჩერეს ავბაზიკ-შარიანდგის და მელიაზგერდის გეზით ცილაკორას რაიონში.
აღმოსავლეთის ასპარეზზე ეს ერთი ხანია შედარებითი სიწყნარე სუფევდა. მოწინააღმდეგენი ძალას იკრეფდენ. რუსები უკან იხვედენ და შერჩეულ, ბუნებრივად გამაგრებულ ადგილებზე ამოფარებას სცდილობდენ. გერმანელები წინ მოიწევენ და ლევიდან დაძრული ავსტრო-გერმანელთა ჯარი ლიუბლინ-ხოლომის ხაზს მოუახლოვდა. რუსეთის ჯარს მასთან შეტაკებები უხდებოდა, მაგრამ ეს შეტაკებები ხდებოდა რუსეთის არცერთად (პირი) შუა. ამ ნაირათ გერმანელები საზრებით ემუქრებოდნენ ლიუბლინ-ხოლომის ხაზს და ამით ივანგოროდ-ბრესტლიტოვსკს. მეორეს მართ ბზურას მხრითაც გააღიერეს შეტაკებები და ბოლიშოვის რაიონში გაჩაღდა ბრძოლა. სწანს, გერმანელებს თავისი პირვანდელი გეგმა არ შეუცვლიათ. გერმანელებმა ბოლიშოვის რაიონში სასტიკი ბრძოლა დაიწყეს და როგორც დებეშიდან სწანს, აქ რუსების ჯარის თხრილები ჩაუვლიათ ხელში. მართალია, მეორე დღეს ამ თხრილების ერთი ნაწილი რუსებს ისევ დაუბრუნებიათ, მაგრამ გერმანელებს დარჩენიათ სანგრები ბოლიშოვის გზატკეცილის მახლობლათ. აქ ბრძოლა ჯერ არ გათავებულა, ამ ნაირათ გერმანელები ბოლიშოვიდან ვარშავას ემუქრებიან, რადგან ამ რაიონიდან უახლოესი გზები მიდის ვარშავისაკენ.

ლიუბლინ-ხოლომის ხაზზე კი რუსის ჯარს გერმანელების ჯარი დაუმარცხებია. ამ ნაირათ, ამ რაიონში ავსტრო-გერმანელების წინსვლა რუსის ჯარმა შეაჩერა. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ თუ ამ რაიონში ავსტრო-გერმანელების ჯარი დამარცხდა, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება გერმანელების მთელი გეგმის განხორციელებისათვის, ამისთვის შესაძლებელია, რომ გერმანი არ შეუშინდებიათ პირველ დამარცხებას და კვლავ განაახლებდენ ამ რაიონში შეტევას. ისიც შეიძლება, რომ აქ გერმანელები კერძო შეტევას აწარმოებდენ, მაგრამ რადგანაც ამ რაიონს ბუნებრივად დიდი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება ეს შეტევა დიდ ბრძოლათ გადაიქცეს. რუსების გამარჯვება ამ რაიონში დიდი საფრთხეა გერმანელებისთვის.

დასავლეთის ასპარეზზე კვლავინდებურათ არტილერიის ბრძოლა. მასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა დაიკავეს 700 მეტ. სივრცის ფრანგების სანგრები. ლებრეტის ტყეში კი ფრანგებმა დაიკავეს 200 მეტრის სივრცის სანგრები.
ყოლიფრიდან სწანს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო დარდნელოში. დებეშის ცნობით, მოკავშირეებს არ ახსოვთ დღემდის ასეთი სასტიკი ბრძოლა. ერთ ადგილას მოკავშირეებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მალე დაკარგული ადგილები ისევ უკან დაიბრუნეს.

ო მ ი
(მეტ. დებ. საავტოსტოსთან).
კავკასიის ასპარეზი.
23 ივნისის განმავლობაში ზღვის პირის რაიონში სროლა იყო. ოლთისის მიმართულებით, რუსების როტამ ღამით უეცრად იერიში მიიტანა ოსმალთის ორ როტაზე ნარშინას რაიონში. აქ დახოცეს 50 ასკერი, დანარჩენნი კი გააქცეს. ავბაზიკისა და შარიანდგის რაიონში ოსმალთმა ენერგიული იერიში დაიწყეს ფართო პირით, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. მელას-გერთის მიმართულებით ცილაკორის რაიონში ოსმალთა შემოტევის სცდილობდენ, მაგრამ რუსებმა შეაკავეს. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მოხდებოდა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.
შხალღის მთავარ-სარდლის შტაბისაგან.
პეტროგრადი. 25 ივნისი. ოფიციალური. 24 ივნისს ღამით გერმანელებმა უშედეგოთ მიიტანეს იერიშები სადგურ მურავიოვს მახლობლად. კალვარია სუვალკის შოსის დასავლეთით 23 ივნისს გერმანელებმა ოსმალთა მოიხარბი შემოქმედაზე გადავლა, მაგრამ მეორე დღეს იგინი რუსების მიერ კვლავ უკუაღებულ იქნენ მდინარის იქით. მდ. ორუცაზე გერმანელებმა 24 ივნისს ღამით იერიშები მიიტანეს რუსების სამხრეთის წინააღმდეგ სოფ. ედნო-როუტის სავსრეთ დასავლეთით, მაგრამ ვერა გაწყვეს რა. რამდენიმე სულა გერმანელებისა რუსების წინ გახვრდნენ დილაზე, მაგრამ უკან დახვის ცდის დროს თითქმის ყველანი დახოცლ იქნენ. დღისით გერმანელებმა კვლავ მიიტანეს იერიშები იმავე სანგრების წინააღმდეგ, მაგრამ უკუაღებულ იქნენ დიდის ზარალით. მდ. ვისლას მარცხენა ნაპირს 24 ივნისს ღამით, გერმანელებმა მოსაწამლავ კვამლის ვეებერთელა ღრუბლების საფარით ისარგებლეს და იერიშები მიჰქონდათ ბოლიშოვის მიმართულებით 12 ვერსიან პირზე.

ზოგიერთ ადგილებში გერმანელებმა მოახერხეს რუსების სანგრების პირველი წყების ხელში ჩაგდება, მაგრამ მეორე დღეს კანტონირიშებით რუსებმა გერმანელები აქედან განდევნეს და ავღაღინეს პირველ ყოვლი მდგომარეობა, გარდა ბოლიშოვის გზატკეცილის მახლობლად მდებარე რიონისა, სადაც ბრძოლა მომწამლავლებთან კიდევ გრძელდება. სოფ. იუზეფოვისა და (?) შუა გერმანელებს ღამით 24 ივნისს უშედეგოდ მოჰქონდათ იერიშები. ვისლას მახლობლად მდებარე რაიონში, ვისლასა და ბუჟს შუა, 24 ივნისს გერმანელებს იერიშები არისა და მიუტანიათ. რუსების ჯარი კი ლიუბლინის მიმართულებით განაგრძობდა დაწყებულ შეტევას ურენდოვ-ბაზას კერძზე. რუსების ჯარი გადავიდა მდინარე ურენდოვსკაზე და შეუტია მდ. მისტრიკას მიმდინარეობით. აქ გერმანელები ძლიერ დამარცხეს და 22-24 ივნისს დაატყვევეს 11,000 ჯარის კაცი, ხელთ იგდეს ერთი დროშა და რა-

